თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3257475

ნომერი: AR1502067

თარიღი : 08.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ხვედელიძე პ/ნ 61006049518
- ბათუმი ანგისის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ვინაიდან შენობა, რაზეც უნდა განთავსდეს კონდიციონერი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული (საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია მშენებარედ), ხოლო სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის №2910715 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტში (მხოლოდ გეგმებზე) დატანილია მათი განთავსების ადგილი და იგი არ არის ასახული ფასადებზე და მონტაჟზე, საჭიროა აღნიშნულის განთავსება დაფიქსირდეს ზემოაღნიშნულ პროექტში, ამისათვის საჭიროა შევიდეს ცვლილება 2016 წლის 26 ოქტომბრის №2910715 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტში. ასევე კონდიციონერის განთავსებისას გაითვალისწინეთ: ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარეს ფასადზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.